



SVANETI  
HYDRO  
GRPC Group

N 100-172  
12.09.2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მესტიაჭალა 2“ ჰესის პროექტზე გაცემული 03.08.2015 წლის N39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და „მესტიაჭალა 1“ ჰესის პროექტზე გაცემული 23.08.2016 წლის N40 ეკოლოგიური ექსპერტიზის შესაბამისად ვახორციელებთ ჰესების კასკადის მშენებლობას.

შეთანხმებული პროექტის მიხედვით, „მესტიაჭალა 2“ ჰესის წყალმიმღებებთან გათვალისწინებულია ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალების მოწყობა (იხ. დანართი 1), ხოლო „მესტიაჭალა 1“ ჰესის წყალმიმღებთან რკინა-ბეტონის კონსტრუქციის თევზსავალის მოწყობა (იხ. დანართი 2).

„მესტიაჭალა 1“ ჰესის პროექტირების საწყის ეტაპზე, რელიეფის სირთულიდან და ტერიტორიის გატყიანებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა დეტალური კვლევის ჩატარება, ხოლო მშენებლობის სტადიაში განხორციელდა ტერიტორიის უფრო ძირეული შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ რელიეფი იძლევა საშუალებას, ნაცვლად ბეტონის ვერტიკალური თევზსავალისა მოეწყოს „მესტიაჭალა 2“ ჰესის პროექტზე გათვალისწინებული ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალის ანალოგიური, რაც შეამცირებს მეტი ტერიტორიის ექსკავაციას, არაბუნებრივი სამშენებლო მასალის გამოყენებას და ვიზუალურად უფრო შერწყმული იქნება გარემო პირობებთან.

დანართის სახით წარმოგიდგენთ, ამ ორი ტიპის თევზსავალის შედარებით დახასიათებას, სადაც საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, აშკარა უპირატესობა ენიჭება ბუნებრივ პირობებთან მიახლოებულ თევზსავალს.

მოგმართავთ თხოვნით, დაგვრთოთ ნება, მოვახდინოთ „მესტიაჭალა 1“ ჰესის პროექტში აღნიშნული ცვლილება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი:

- „მესტიაჭალა 2“ ჰესის თევზსავალის გეგმა.
- „მესტიაჭალა 1“ ჰესის თევზსავალის გეგმა.
- თევზსავალების შედარებითი ანალიზი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
10.09.2018